შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და მასთან ბრძოლა

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2022)21 წევრ ქვეყნებს

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და მასთან ბრძოლა

რეკომენდაცია CM/Rec(2022)21
მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1444-ე შეხვედრაზე

არაოფიციალური თარგმანი

ევროპის საბჭო

ამონარიდების (500 სიტყვამდე) კოპირება ნებადართულია, მაგრამ დაუშვებელია მათი გამოყენება კომერციული მიზნებით, ასევე დაუშვებელია ტექსტის მთლიანობის დარღვევა და მისი ამონარიდის გამოყენება კონტექსტის მიღმა; ამონარიდი არ უნდა იძლეოდეს არასრულ ინფორმაციას და არ უნდა შეჰყავდეს მკითხველი შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, მიზნებთან და შინაარსთან დაკავშირებით. პირველწყარო ყოველთვის უნდა იყოს მითითებული შემდეგნაირად: „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“.

ყველა სხვა მოთხოვნა, მთელი დოკუმენტის ან მისი ნაწილის კოპირება/თარგმნასთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publicing@coe.int).

ყველა სხვა კორესპონდენცია ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა მიეწოდოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) სამდივნოს, ევროპის საბჭო, F-67075 Strasbourg Cedex, ელ.ფოსტა: trafficking@coe.int

ყდის დიზაინი და ტექნიკური უზრუნველყოფა: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (DPDP), ევროპის საბჭო.

© ევროპის საბჭო, 2023 წლის იანვარი. დაბეჭდილია ევროპის საბჭოში.

შინაარსი

წინათქმა **5**

რეკომენდაცია CM/Rec(2022)21 **9**

განმარტებითი მემორანდუმი **15**

I. პრევენცია 15

შრომის ბაზრის რეგულირება 18

II. დაცვა 22

მსხვერპლის იდენტიფიკაცია 22

დახმარება და დაცვა 25

კომპენსაციაზე და სხვა საშუალებებზე წვდომა 27

დაუსჯელობის დებულება 29

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების დაცვა 30

III. სამართლებრივი დევნა 31

შრომის კანონმდებლობის დარღვევებსა და შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს შორის მიზეზობრივი კავშირის გაცნობიერება 31

გამოვლენა, გამოძიება და სამართლებრივი დევნა 33

IV. პარტნიორობა და საერთაშორისო თანამშრომლობა 35

V. ქმედება კორპორატიული პასუხისმგებლობის გასაღრმავებლად და კორპორატიული ვალდებულებების შესასრულებლად 36

წინათქმა

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის მასშტაბი ევროპაში იზრდება და ის ეხება ქალების, მამაკაცებისა და ბავშვების სულ უფრო დიდ რაოდენობას. 2019 წლის ნოემბერში გენერალურმა მდივანმა მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა „გზამკვლევი შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.[1] ამ გზამკვლევის თანახმად, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა (GRETA) 2020 წლის სექტემბერში შეიმუშავა და გამოსცა კარგი პრაქტიკის კრებული შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.[2] კრებული წარმოადგენდა შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელოს შემუშავების საფუძველს, რომელიც GRETA-მ გამოსცა 2020 წლის ნოემბერში.[3]

GRETA-ს სახელმძღვანელომ აჩვენა არსებული იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტების, კერძოდ, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის გავრცობის აუცილებლობა, წევრი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, რომელიც შეიცავს ყველა აუცილებელ მითითებას. 2021 წლის აპრილში მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის საკითხებზე საგანგებო კომიტეტის (DH-TET) შექმნა, რომელიც იმუშავებდა ადამიანის უფლებათა საკითხებზე მმართველი კომიტეტის (CDDH) მეთვალყურეობის ქვეშ და მოამზადებდა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პროექტს შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ.

DH-TET-ის უფლებამოსილების თანახმად, მასში შედიოდა 10 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელთაგან ხუთი დანიშნული იყო ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტის (CDDH) მიერ, ოთხი

1. SG/Inf(2019)34 და SG(2020)29.
2. შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კარგი პრაქტიკის კრებული – GRETA(2020)08 – bit.ly/GRETA-compendium-labour-exploitation.
3. სახელმძღვანელო შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ. – GRETA(2020)12 – bit.ly/GRETA-Guidance-note-labour-exploitation.

- სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტის (CDPC) მიერ და ერთი - ევროპის სოციალური ქარტიისა და ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის სამთავრობო კომიტეტის მიერ; მასში ასევე შედიოდა გენერალური მდივნის მიერ დანიშნული ხუთი დამოუკიდებელი ექსპერტი. DH-TET-ის შეხვედრებში მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოები, ასევე სხვა საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. GRETA-მ და მისმა სამდივნომ აქტიური წვლილი შეიტანა რეკომენდაციის პროექტის მომზადებაში და მონაწილეობა მიიღო DH-TET-ის ოთხ შეხვედრაში.

2022 წლის 27 სექტემბერს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2022)21 შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ. რეკომენდაცია მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ეროვნული კანონები, შეიმუშავონ ისეთი პოლიტიკა და სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის თანახმად. იგი ეყრდნობა GRETA-ს მონიტორინგის შედეგებსა და მითითებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს.

განმარტებითი მემორანდუმი შეიცავს ზომების ყოვლისმომცველ პაკეტს, დაწყებული პრევენციითა და შრომის ბაზრის რეგულაციებით. იგი ხაზს უსვამს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ყოვლისმომცველი მანდატი უნდა მიანიჭონ შრომის ინსპექტორატებს, დაატრენინგონ ისინი და აღჭურვონ სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით, რათა რეგულარულად და პროაქტიურად იყვნენ წარმოდგენილი ყველა ეკონომიკურ სექტორში. გარდა ამისა, შრომის ინსპექტორატები უნდა არეგულირებდნენ და აკვირდებოდნენ დასაქმებისა და კადრების მოძიების სააგენტოებს და ყურადღებით შეისწავლიდნენ შრომის ბაზრის პოტენციურად დაურეგულირებელ პრაქტიკებს.

წევრმა სახელმწიფოებმა ასევე პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიონ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევების გამოვლენა და მსხვერპლთა იდენტიფიკაცია. ამისთვის მათ უნდა შეიმუშაონ უსაფრთხო შეტყობინებისა და საჩივრის წარდგენის ეფექტიანი მექანიზმები, ტრეფიკინგის მსხვერპლთა საცხოვრებელი სტატუსისა და შრომის ბაზარზე წვდომის რეგულირების კონკრეტული

შესაძლებლობები და კომპენსაციისა და ანაზღაურების მიღების რეალური ინსტრუმენტები.

გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ შრომითი ექსპლუატაციის პარამეტრები კანონის ან მეთვალყურეობის მექანიზმების გზით და მიიღონ ქვეყნისთვის სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებები შრომითი ექსპლუატაციის წესების ინტერპრეტაციისა და გამოყენების შესახებ. უნდა შემუშავდეს სპეციალური საგამოძიებო პროცედურები და სპეციალიზებული დანაყოფები პოლიციასა და პროკურატურაში, შესაბამისი რესურსებისა და ტრენინგის უზრუნველყოფით.

ამასთან, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბიზნესები და საჯარო ორგანიზაციები მოქმედებდნენ სათანადო მონდომებით და გამოავლენდნენ და აღმოფხვრიდნენ ადამიანებით ვაჭრობის საფრთხეებს თავიანთი მოწოდების ჯაჭვების და შესყიდვების მასშტაბით.

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და მასთან ბრძოლა

რეკომენდაცია CM/Rec(2022)21

მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1444-ე შეხვედრაზე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.b (ETS No. 1) მუხლის მოთხოვნათა თანახმად,

ითვალისწინებს, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანობის გაძლიერება, რის მისაღწევადაც ერთ-ერთი გზაა ადამიანის უფლებათა სფეროში საერთო სტანდარტების ხელშეწყობა;

შეახსენებს წევრს სახელმწიფოებს ვალდებულებას, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა (ETS No. 5, კონვენცია) და მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები, როგორც ეს განმარტებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, რომლის მიხედვითაც ადამიანებით ვაჭრობა კონვენციის მე-4 მუხლის ფარგლებში შედის;

აღიარებს, რომ ევროპის სოციალური ქარტიისა (ETS No. 35) და ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვერსიის (ETS No. 163) თანახმად, სოციალური უფლებები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილია და მათი დაცვა აუცილებელია ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისთვის და მის მსხვერპლთა სოციალური და ეკონომიკური (რე)ინტეგრაციისათვის;

კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროპის საბჭოს მტკიცე განზრახვას, იბრძოლოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი მიდგომით, რომელიც მოიცავს პრევენციას, მსხვერპლთა უფლებების დაცვას, სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომას, დამნაშავეთა

დევნას და სანქციებს, საერთაშორისო თანამშრომლობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობას, როგორც ეს ასახულია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაში (CETS No. 197);

ითვალისწინებს, რომ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობა მოხსენიებული იყო, როგორც ევროპის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2019 წლის ანგარიშში „მზად მომავლის გამოწვევებისთვის – ევროპის საბჭოს გაძლიერება“;

ითვალისწინებს გენერალური მდივნის „გზამკვლევს შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელიც დამტკიცდა 2019 წლის 17 მაისს ჰელსინკიში მინისტრთა კომიტეტის 129-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით, არსებული ევროპული სტანდარტებით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმების ანალიზისა და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გზების შესასწავლად;

ღრმა შეშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობა მძიმე შედეგებს იწვევს, რომ მისი შემთხვევები იმატებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში და ეს პრობლემა ქალების, მამაკაცებისა და ბავშვების სულ უფრო მზარდ რაოდენობას ეხება;

ხაზს უსვამს, რომ ადამიანებით ვაჭრობა არის პიროვნების ღირსების მძიმე შელახვა, მას ადამიანი სავაჭრო საქონლის კატეგორიამდე დაჰყავს და ის დაკავშირებულია შრომის კანონმდებლობის დარღვევასა და სხვა კანონდარღვევებთან, როგორებიცაა გადასახადებისათვის თავის არიდება, სოციალურ დახმარებასთან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული თაღლითური საქმიანობები და ფულის გათეთრება;

აღიარებს, რომ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობას ხელს უწყობს გლობალური ეკონომიკური უთანასწორობა, შეიარაღებული კონფლიქტების თანმხლები იძულებით გადაადგილება, ადამიანის ეკონომიკური და სოციალური უფლებების შეუსრულებლობა, დისკრიმინაციისა და რისკების სხვადასხვაგვარი და გამჭოლი ფორმები, შრომის ბაზრის რეგულაციებისა თუ ინსპექტირების ეფექტიანი მექანიზმების ნაკლებობა, ბაზრის ზეწოლის ზრდა ხარჯების შესამცირებლად და მოგების მაქსიმალური გაზრდის მცდელობა

მშრომელთათვის დაბალი ხელფასების გადახდის, ზეგანაკვეთური შრომისა და ექსპლუატაციის გზით;

აღნიშნავს, რომ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობა როგორც ტრანსნაციონალური, ასევე ეროვნული ფენომენია და ის ხშირად უკავშირდება შრომით მიგრაციას და ისეთ სიტუაციებს, როდესაც ადამიანებს შეზღუდული აქვთ ღირსეული სამუშაოს საშოვნელად ლეგალური შრომითი მიგრაციის გზები ან შეზღუდული აქვთ შრომის ბაზარზე წვდომა მიგრანტის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის გამო;

ითვალისწინებს შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევების გამოვლენის თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს, მათ შორის: ამ ფენომენის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობას; იმას, რომ მსხვერპლები ხშირად თავს იკავებენ ან არ შეუძლიათ ხმის ამოღება საიმიგრაციო სტატუსის, დაშინების, მუქარის გამო, სამსახურის, საცხოვრებელი ადგილის დაკარგვის შიშით თუ ტრეფიკერებზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულების გამო; მხვერპლის მიერ თავისი უფლებების არცოდნას; სამუშაო ადგილზე წარმომადგენლობის ნაკლებობასა და იურიდიული დახმარების არარსებობას, ასევე დაზარალებულთა იდენტიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირების პროფესიულ მოუმზადებლობასა და საამისოდ საჭირო რესურსების ნაკლებობას;

ითვალისწინებს, რომ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობა შეიძლება მოხდეს ეკონომიკის ყველა სექტორში, ბიზნესის მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე, როგორც სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის შედეგად, ასევე კერძო შინამეურნეობაში;

ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს საერთაშორისო და მრავალმხრივ თანამშრომლობას, მათ შორის სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებსა და სხვა სტრუქტურებს შორის, ასევე კოორდინირებულ ქმედებებს სახელმწიფოებს, ბიზნესებს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ და მიგრანტთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს შორის, და თავისუფალი მედიის მხარდაჭერას;

ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) იძულებითი შრომის შესახებ კონვენციას (1930) და მის 2014 წლის პროტოკოლს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იძულებითი შრომის დანაშაულად კვალიფიცირება და დასაჯონ ამ

დანაშაულის ჩამდენი პირები, მიიღონ ქმედითი ზომები იძულებითი შრომის თავიდან ასაცილებლად, უზრუნველყონ მსხვერპლთა დაცვა და ხელმისაწვდომობა დაცვის საშუალებებზე, როგორიცაა კომპენსაცია, მიიღონ კონკრეტული ზომები იძულებითი შრომის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ;

ეყრდნობა ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა სტანდარტებს, კერძოდ, „მინიმალური ასაკის შესახებ კონვენციას“ (1973), „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ კონვენციას“ (1999), „კონვენციას შინამოსამსახურეების შესახებ“ (2011), „შრომის ინსპექციის შესახებ კონვენციას“ (1947), „გაერთიანების თავისუფლებისა და ორგანიზების უფლების დაცვის შესახებ კონვენციას“ (1948), „კონვენციას პროფკავშირებში გაერთიანების და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების პრინციპთა გამოყენების შესახებ“ (1949) და „კონვენციას ძალადობისა და შევიწროების შესახებ“ (2019);

ითვალისწინებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს წევრი ქვეყნებისადმი: Rec(2006)8 დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების შესახებ, CM/Rec(2008)10 მიგრანტებისა და ემიგრანტების შთამომავლების დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შესახებ, CM/Rec(2015)3 დაუცველ არეალებში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე წვდომის შესახებ და CM/Rec(2016)3 ადამიანის უფლებებისა და ბიზნესის შესახებ;

ითვალისწინებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გაწეულ სამუშაოს ამ სფეროში, კერძოდ, რეკომენდაცია 2011 (2013) „მიგრანტ მუშაკების ტრეფიკინგი იძულებითი შრომის მიზნით“ და რეკომენდაცია 2171 (2020) „ადამიანებით ვაჭრობისა და მიგრანტებით კონტრაბანდის წინააღმდეგ შეთანხმებული ქმედება“;

ითვალისწინებს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მუშაობის შედეგებს და, კერძოდ, მისი კარგი პრაქტიკის კრებულს, რომელიც შედგენილია შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის; ასევე სახელმძღვანელოს შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ;

ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციას სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ (1998), 2022 წლის შესწორებებით;

ეყრდნობა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებმა უნდა „პატივი სცენ, დაიცვან და აღასრულონ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები“ და „გაითვალისწინონ გონივრული ზომები - ეროვნული თუ საერთაშორისო, სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი - რათა ხელი შეუწყონ ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემას“ და უზრუნველყონ სათანადო და ეფექტიანი საშუალებები ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში;

აღიარებს და ეყრდნობა ადამიანებით ვაჭრობისა და იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი სხვა მთავრობათაშორისი ორგანიზაციებისა და უწყებების მუშაობას, და:

რეკომენდაციას უწევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს:

მიიღონ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კანონები, შეიმუშაონ პოლიტიკა და სტრატეგიები, რომლებიც ეხება შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომით. აუცილებელია ამ ზომების მხარდაჭერა სათანადო დაფინანსებით მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად და მათი კოორდინირებული მონიტორინგი და შეფასება კონკრეტული მექანიზმებით, ურთიერთმკვეთი საშუალებების ჩათვლით. ამ პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია, მსხვერპლთა უფლებების დაცვა და მათთვის ეფექტური დაცვის საშუალებებზე, მათ შორის კომპენსაციაზე, წვდომის უზრუნველყოფა, დამნაშავეთა დასჯა და საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა და კოორდინაცია. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ბიზნესები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოქმედებდნენ სათანადო ძალისხმევით და გამოავლენდნენ და აღმოფხვრიდნენ ადამიანებით ვაჭრობის რისკებს თავიანთი საქმიანობის სფეროში.

უზრუნველყონ, რომ ამ რეკომენდაციით დადგენილი ზომები და პრინციპები განხორციელდება და დაცული იქნება შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, განმარტებით მემორანდუმში მოცემული

შემდგომი მითითებების გათვალისწინებით. მიღებული ზომების ეფექტურობა უნდა შეფასდეს შესაბამისი საჯარო სტრუქტურების მიერ რეგულარულად, ყველა რელევანტურ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით;

უზრუნველყონ, შესაბამისი საშუალებებითა და ქმედებებით, ამ რეკომენდაციისა და მისი განმარტებითი მემორანდუმის ფართოდ გავრცელება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე კომპეტენტურ ორგანოებს, დაინტერესებულ მხარეებსა თუ სხვა მთავრობათაშორის ორგანიზაციებს შორის;

შეისწავლონ, მინისტრთა კომიტეტის ფარგლებში და ევროპის საბჭოს სხვა შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობითა და რელევანტური დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ამ რეკომენდაციის განხორციელება მისი მიღებიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა, წინარე განხორციელებული ეროვნული შეფასებების გათვალისწინებით.

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და მასთან ბრძოლა

განმარტებითი მემორანდუმი

I. პრევენცია

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის თავიდან ასაცილებლად[4] წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სოციალურ უფლებებთან თანხვედრ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც დაიცავს პოტენციურ მსხვერპლებს და იხსნის მათ ტრეფიკინგის შესაძლო საფრთხეებისაგან.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ტრეფიკინგისადმი მოწყვლადი ჯგუფების წევრები, ევროპის სოციალური ქარტიით გათვალისწინებული სოციალური უფლებების პროგრესული შესრულებისთვის გაძლიერებული ძალისხმევის გზით. კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ასეთ პირებს საჯარო განათლებაზე, სიღარიბისგან დაცვაზე, ღირსეულ სამუშაოზე, ჯანდაცვაზე, ღირსეულ საცხოვრებელზე და ხარისხიან, ინკლუზიურ სოციალურ სერვისებზე წვდომაში და პროაქტიურად მიაწვდინონ ეს დახმარება მათ, ვისაც ყველაზე ძნელად მიუწვდება მასზე ხელი.

ემპირიულ კვლევასა და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, ექსპერტებთან და უშუალოდ ჩართულ პირებთან კონსულტაციით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოავლინონ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის რისკის ქვეშ მყოფი მოწყვლადი ჯგუფები და

4. შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგი, როგორც ტერმინი, გამოიყენება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის განსასხვავებლად ეკონომიკის სხვა ნებისმიერ სფეროში, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ეკონომიკაში, ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგისაგან. „შრომითი ექსპლუატაციის“ ცნება ადამიანებით ვაჭრობის კონტექსტში მოიაზრება, როგორც მინიმუმ, იძულებითი შრომა ან მსახურება, მონობა ან მონობისა და მსახურების მსგავსი პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობა ყველას ეხება, მათ შორის ბავშვებსაც, მას მაინც აქვს გენდერული განზომილება: მამაკაცებზე და ქალებზე ის სხვადასხვა ფორმით აისახება.

სფეროები. წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ და შეისწავლონ ისეთი რისკ-ფაქტორები, როგორიცაა არასტაბილური მიგრანტის სტატუსი, სახელმწიფო სიკეთეებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, სათემო მხარდაჭერის არაადეკვატური სისტემები, ადგილობრივი ენის არცოდნა ან იზოლირებულ გარემოში მუშაობა. ამ რისკ-ფაქტორების განხილვა უნდა მოხდეს ისე, რომ გათვალისწინებული იყოს კულტურული და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა და ტრეფიკინგის რისკის ქვეშ მყოფი პირების გამოცდილება, მათ შორის შრომითი მიგრანტების გამოცდილება, გათვალისწინებული იყოს ტრეფიკინგის პრევენციის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებაში, მიწოდებაში, შეფასებასა და რეფორმაში შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის პრევენციისთვის. ეს უნდა მოიცავდეს თანამშრომლობას პროფკავშირებთან, მიგრანტთა თემთან, სხვა მხარდამჭერ ორგანიზაციებთან და ტრეფიკინგის აღმოფხვრის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.

წევრმა სახელმწიფოებმა მხარდამჭერ ორგანიზაციებთან პარტნიორობით უნდა შეიმუშავონ საინფორმაციო მასალები ადამიანებით ვაჭრობის საფრთხის ქვეშ მყოფი პირებისთვის, მათთვის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო საშუალებებით და მათთვის გასაგებ ენაზე. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ადამიანებით ვაჭრობის ძირითად ინდიკატორებს შრომითი ექსპლუატაციისა და ამ მიზნით ადამიანების დაქირავების მეთოდების შესახებ და მასში ასახული უნდა იყოს შრომის კანონმდებლობის, კოლექტიური ხელშეკრულებებისა და დაცვის მექანიზმები, რომლებიც მიესადაგება მაღალი რისკის შემცველ სხვადასხვა შრომით სფეროს; მათში ასევე ასახული უნდა იყოს დამსაქმებლის სამართლებრივი ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ და იურიდიული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებზეც დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ წვდომა მათი შრომის ბოროტად გამოყენებისა და ექსპლუატაციის შემთხვევებში; ეს მასალები უნდა წარმოაჩენდეს პროფკავშირების, ჯანდაცვის მომსახურების მომწოდებლების, დამხმარე და სათემო ორგანიზაციების, შრომის ინსპექციის ორგანოებისა და სხვა შესაბამისი არხების როლს. ეს ინფორმაცია უნდა გავრცელდეს სამუშაო ადგილებში და მოწყვლადი კატეგორიის დასაქმებულთა შეკრების სხვა ადგილებში, სათემო ცენტრებში და მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს საიმიგრაციო პროცედურების ფარგლებში; საჭიროა განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება იმ პირებზე, რომლებიც შედიან ან ცხოვრობენ წევრ

სახელმწიფოში ოჯახის წევრებზე მიბმული და დროებითი ვიზებით. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა განიხილონ შრომითი მიგრანტებისთვის საკონსულტაციო და მობილური ცენტრების შექმნის საკითხი და უზრუნველყონ შრომით მიგრანტთა ინფორმირება მათთვის გასაგებ ენაზე როგორც ონლაინ საშუალებებით, ასევე პირისპირ შეხვედრებით.

მიგრანტთა წარმოშობის ქვეყნებმა უნდა განიხილონ შრომითი ატაშეების დანიშვნის საკითხი თავიანთ საელჩოებში დანიშნულების ქვეყნებში, ხოლო დანიშნულების ქვეყნებმა უნდა განიხილონ შრომითი ან მიგრაციის ატაშეების დანიშვნა მიგრანტთა წარმოშობის ქვეყნებში, რომლებიც შეძლებენ პოტენციური შრომითი მიგრანტებისთვის დანიშნულების ქვეყნებში მუშაობის პროცედურების შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ქვეყნის დატოვებამდე.

გარდა ამისა, შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის შესახებ ცნობიერების ამაღლება ინტეგრირებული უნდა იყოს 36-ე და 46-ე პარაგრაფებში ნახსენები პროფესიული ჯგუფების სასწავლო პროგრამაში და ეს პროგრამები უნდა ასახავდეს ძირითად ინდიკატორებსა და რეკრუტირების მეთოდებს, მათ შორის იმას, თუ როგორ ხდება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ბოროტად გამოიყენება მსხვერპლთა რეკრუტირების, კონტროლისა და ექსპლუატაციის მიზნით.

წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა ჩაატარონ საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები ფართო საზოგადოებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ცოდნის გაღრმავებას შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ, რათა გააძლიეროს ამ ფენომენის მიმართ შეუწყნარებლობა და შეამციროს ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა ექსპლუატაციით მიღებულ სერვისებზე მოთხოვნა. ცნობიერების ამაღლების კამპანიები და საჯარო ანგარიშგების მექანიზმები არ უნდა ახდენდეს მსხვერპლთა და დაუცველი თემების სტიგმატიზაციას. ამისათვის აუცილებელია, რომ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლები და მიგრანტთა თემების წარმომადგენლები ჩართულები იყვნენ ამ კამპანიებისა და მექანიზმების შემუშავებასა და მიწოდებაში. ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკაფიო მექანიზმები შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის საეჭვო შემთხვევების სათანადო ორგანოებისთვის შესატყობინებლად.

შრომის ბაზრის რეგულირება

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ თუ არ მოხდება პოტენციურად დაურეგულირებელ შრომის ბაზარზე სათანადოდ დაკვირვება, დაბრკოლდება რეგულირების ეფექტიანი მექანიზმები და ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნება შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობას.

ამიტომ, სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის შრომის ინსპექციების როლი გადამწყვეტია მომუშავეთა წინააღმდეგ მძიმე დანაშაულისთვის ნაყოფიერი გარემოს ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიანიჭონ ამ ორგანოებს ყოვლისმომცველი მანდატი, ჩაუტარონ ტრენინგები და აღჭურვონ ისინი საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსით, რათა მათ შეძლონ, რეგულარულად და პროაქტიურად იყვნენ წარმოდგენილები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში შემავალ ყველა ეკონომიკურ სფეროში; ამასთან, აუცილებელია, პრიორიტეტულად იქნეს მიჩნეული სამუშაო ადგილების ინსპექტირება ეკონომიკის ისეთ სფეროებში, სადაც ექსპლუატაციის ყველაზე დიდი პოტენციალია. საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ადგილის ინსპექტირება უნდა ჩატარდეს წინასწარი გაფრთხილების გარეშე, რათა შემოწმდეს, რომ ყველა მშრომელი ადგილზეა და გამოვლინდეს ძალადობისა და ექსპლუატაციის შემთხვევები.

შრომითი უფლებების დარღვევის შეფასება სულ უფრო რთული ხდება, რადგან ბიზნესები ხანდახან განზრახ იყენებენ ბუნდოვან მექანიზმებსა და რეკრუტირების თაღლითურ მეთოდებს. ეს შეიძლება იყოს იურისდიქციის გვერდის ავლით დაფუძნებული, მიზნობრივი დაქირავების ონლაინ პლატფორმები, რომლებიც საშუალებას იძლევა, დაიქირავონ ადამიანები არა როგორც თანამშრომლები, რადგან დაქირავებულ მშრომელთა უფლებები საკმაოდ ფართოა და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით. შრომის ხარჯების მინიმიზაციისა და მოგების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, ბიზნესებმა შესაძლოა ბოროტად გამოიყენონ, მაგალითად, არსებული იურიდიული მექანიზმები, როგორიცაა თვითდასაქმება, დასაქმების სააგენტოები, „სააბონენტო-ყუთი“ კომპანიები სხვა ქვეყნებში, სახელფასო მექანიზმები, ქვეკონტრაქტების სისტემები სხვა ქვეყნებში და სხვა. ამ მექანიზმების ბოროტად გამოყენების შემთხვევებში მშრომელთა ანაზღაურება ხშირად გაცილებით დაბალია, ვიდრე იმ ქვეყანაში დადგენილი მინიმალური ხელფასი,

სადაც სრულდება სამუშაო. ამ სიტუაციებში დაუცველი რჩება და არ რეალიზდება ადამიანის ეკონომიკური, შრომითი და სოციალური უფლებები. წევრმა სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა მიუთითონ, რომ ასეთი მექანიზმების ბოროტად გამოყენება შრომის, სოციალური და ფინანსური სტანდარტების თავიდან ასაცილებლად მიუღებელია, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს შრომითი ექსპლუატაცია, ამიტომ ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი ბოროტად გამოყენება აკრძალული იყოს სისხლის სამართლის, შრომის და/ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაარეგულირონ და გააკონტროლონ დასაქმებისა და რეკრუტირების სააგენტოები. მშრომელები, მათ შორის შრომითი მიგრანტები, ხშირად უშუალოდ იმ ბიზნესის მიერ კი არ არიან დასაქმებულები, სადაც მუშაობენ, არამედ საქმდებიან დასაქმების სააგენტოს მეშვეობით და/ან მუშაობენ ქვეკონტრაქტების საფუძველზე. დასაქმების სააგენტოების ან ქვეკონტრაქტორის მეშვეობით დასაქმება რთულ სამართლებრივ სიტუაციებს ქმნის, რამაც შეიძლება გაუგებარი გახადოს, თუ შრომის რომელი კანონმდებლობა გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში, ვის უნდა მიმართოს ადამიანმა შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებში ან რა საშუალებებია ხელმისაწვდომი დასაქმებულთათვის. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღკვეთონ კანონმდებლობის თავიდან აცილების პრაქტიკა მშრომელთა დაქირავების პროცესის ყველა ეტაპის რეგულირებით (მათ შორის, რეკლამის, შერჩევის, ტრანსპორტირების და დასაქმების საკითხები) და ყველა სახის სამუშაოზე ყველა დამსაქმებლისთვის რეგულაციების დაწესებით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ზოგადი პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად დაქირავების სამართლიანი პროცედურებისა და ანაზღაურების განსაზღვრასთან დაკავშირებით. დასაქმების საფასური და მასთან დაკავშირებული ხარჯები არ უნდა დაეკისროს მომუშავე პირებს ან სამუშაოს მაძიებლებს.

ხელფასიდან სხვადასხვა ხარჯების გამოქვითვის პრაქტიკა, როგორიცაა საცხოვრებლის საფასური, პირადი კვება და ტრანსპორტირება, უნდა დარეგულირდეს ან აიკრძალოს ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად. უნდა აიკრძალოს ხელფასებიდან არაკეთილსინდისიერი, შენიღბული ან მოჩვენებითი ხარჯების ჩამოჭრა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საკანონმდებლო და სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელშეკრულებები და სახელფასო უწყისები იყოს გასაგები და გამჭვირვალე, მათში

მითითებული უნდა იყოს დამსაქმებელი და უნდა აიკრძალოს კონტრაქტის ჩანაცვლების პრაქტიკა, როდესაც დაქირავებულს ერთი ხელშეკრულება უფორმდება დაქირავების მომენტში და შემდეგ ის იცვლება სხვა ხელშეკრულებით მომუშავე მიგრანტის სამუშაო ქვეყანაში ჩასვლისას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დამსაქმებლებმა წარმოადგინონ დასაქმების პირობები, ხელშეკრულებები და ანაზღაურების მონაცემები დაქირავებულთათვის გასაგებ ენაზე.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ მშრომელებმა ისარგებლონ სამართლიანი ანაზღაურების უფლებით. ეს ზომები შეიძლება იყოს სამართლებრივი დებულებები, კოლექტიური ხელშეკრულებები თუ ეროვნული პირობების შესაბამისი სხვა საშუალებები. ეს ეხება ფაქტობრივ შრომით ურთიერთობაში მყოფ პირებსაც, იმისდა მიუხედავად, თუ რა სახელშეკრულებო მექანიზმია გამოყენებული და იმ პირებსაც, რომლებსაც არ აქვთ ხელშეკრულება, დასაქმების არასტანდარტული ფორმების შემთხვევაში (როგორიცაა დროებითი დასაქმება, ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, დროებითი, აგენტის ტიპის დასაქმება, ვადიანი კონტრაქტები თუ შენიღბული დასაქმება). რეგულაციები ასევე უნდა ეხებოდეს სამუშაო დატვირთვას და მოსალოდნელ შრომით პროდუქტიულობას, ისევე როგორც პროდუქტიულობასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დააარსონ ან გააძლიერონ არსებული მარეგულირებელი ორგანოები, რათა მათ უზრუნველყონ ანაზღაურების მოქმედ ჩარჩოებთან შესაბამისობა, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად და სოციალური პარტნიორების ავტონომიის დაცვით.

რეალურად თვითდასაქმებული პირები თავად წყვეტენ საკუთარ ანაზღაურებას. თუმცა, ის პირები, რომლებიც არ არიან რეალურად თვითდასაქმებულები, განსაკუთრებით შრომის ბაზრის დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე მუშაობენ ქვეკონტრაქტების საფუძველზე ან დასაქმებულები არიან ციფრულ ეკონომიკურ მოდელში ან თვით-დასაქმების ეკონომიკურ მოდელში, სადაც ანაზღაურება ფიქსირებულია საარსებო მინიმუმს ქვემოთ, ხოლო სამუშაო საათები არ არის დაფიქსირებული. მნიშვნელოვანია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა სწორად მოახდინონ დასაქმების ტიპების კლასიფიკაცია. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღკვეთონ თვითდასაქმებულ პირთა არასწორი კლასიფიკაცია კერძო პირებისა და ბიზნესების მიერ, რათა

უზრუნველყონ დაზარალებულ მშრომელთა მართებული კანონიერი ანაზღაურება და დაცვა.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ორგანიზების (პროფკავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების), კოლექტიური მოლაპარაკებისა და საერთო ინტერესების კოლექტიური დაცვის უფლების რეალიზებისთვის ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში. განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო ისეთ სფეროებში, სადაც შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მეტი რისკი არსებობს, მაგალითად, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მეთევზეობის, სასატუმრო და შინამომსახურების სფეროებში. ქვეყნებმა ასევე უნდა უზრუნველყონ თითოეული დასაქმებულის ეფექტიანი წვდომა ინფორმაციაზე და კონსულტაციაზე, მათ შორის მიგრაციის შემდგომ, და მონაწილეობა მიიღონ სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ რეგულარული მიგრაციის გზების ხელმისაწვდომობისა და მოქნილობის გაღრმავების შესაძლებლობები ეროვნული კანონმდებლობისა და შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად, რათა შრომითი მიგრანტები ლეგალურად დასაქმდნენ. რეგულარული გზა უნდა ნიშნავდეს ღირსეულ სამუშაოს და ღირსეულ სამუშაო პირობებს თითოეული დასაქმებულისთვის, განსაზღვრული ეკონომიკური და სოციალური უფლებების სრული დაცვით. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაარეგულირონ შრომითი მიგრაცია ისეთი ზომებით, რომლებიც უზრუნველყოფს ძირითად უფლებებს, გამჭვირვალე პროცედურებს, მინიმალურ ადმინისტრაციულ პროცედურებსა და ითვალისწინებს შრომითი მიგრანტების პერსპექტივებს. აუცილებელია შრომითი უფლებების დაცვის სათანადო მონიტორინგი, რაც ასევე გულისხმობს შრომის ინსპექტორებისა და სხვა შესაბამისი უწყებების საზღვრისპირა თანამშრომლობას.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ მექანიზმები, რომლებიც მომუშავე მიგრანტებს საშუალებას მისცემს, დატოვონ შრომითი ურთიერთობა, შეიცვალონ დამსაქმებელი და გამოიყენონ გასაჩივრების არსებული მექანიზმები საცხოვრებელი სტატუსის დაკარგვის შიშის გარეშე. ადამიანებით ვაჭრობისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევის რისკების შესამცირებლად, რომლებიც წარმოიქმნება დამსაქმებელზე მშრომელთა დამოკიდებულებიდან, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ბინადრობის ნებართვის გაგრძელების საკითხი მესამე ქვეყნის მუშაკისთვის, რომელმაც სამუშაო დაკარგა. ამ მიზნით, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გასცენ ნებართვები,

რომლებიც საშუალებას მისცემს პირს, უმუშევრობის პერიოდში ან იგივე ნებართვით დამსაქმებლის შეცვლის შემთხვევაში მოითხოვოს ახალ დამსაქმებელთან დაკავშირებული, ხელახალი ბინადრობის/სამუშაო ნებართვა მარტივი ადმინისტრაციული პროცედურების გავლით ქვეყნის შიგნით. მათ უნდა შეეძლოთ ასევე, ისარგებლონ გარდამავალი ნებართვით ან მიიღონ ნებართვა სამუშაოს ძებნის პერიოდისთვის. შრომითი მიგრანტებისთვის დასაქმების შეცვლის შესაძლებლობა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რათა დასაქმებულებს არ შეექმნათ ბარიერები გადაყვანისას.

II. დაცვა

მსხვერპლის იდენტიფიკაცია

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ და პრიორიტეტულად აღიარონ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევების გამოვლენისა და მსხვერპლთა იდენტიფიკაციის მექანიზმები.

როცა შეუძლებელია ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ამან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა, როგორც ეს ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.[5] მსხვერპლის იდენტიფიცირების ვალდებულების შესრულების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეროვნული რეფერალური მექანიზმი (NRM) ან სხვა ეკვივალენტური მექანიზმი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციისა და დახმარებისთვის, რომელშიც განსაზღვრული იქნება ყველა შესაბამისი უწყების როლი და პასუხისმგებლობა, მათ შორის შრომის ინსპექტორების, პროფკავშირებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციების. წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარული პერიოდულობით უნდა შეაფასონ თავიანთი ეროვნული რეფერალური მექანიზმი, იზრუნონ მის დროულ ადაპტირებაზე და უზრუნველყონ

5. რანცევი კვიპროსის და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, განაცხადი No25965/04, 2010 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილება; ლ.ე. საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი No71545/12, 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება; ჩოდრი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი No21884/15, 2017 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება; V.C.L და A.N. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2021 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება

ადეკვატური რესურსების გამოყოფა ამ მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისთვის.

ზოგიერთ შემთხვევაში, შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიცირებას ხელს უშლის შრომის ინსპექტორების ან სხვა კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მანდატის სისუსტე ან რესურსების სიმწირე, რაც აბრკოლებს ინდივიდუალური საჩივრების მიღებასა და განხილვას და ინსპექტირების ღონისძიებების დაგეგმვასა და წამოწყებას, რომელთა მიზანია შრომითი ტრეფიკინგის კონკრეტული სიტუაციების გამოვლენა. შრომის ინსპექტირება უნდა მოიცავდეს უსაფრთხო და კონფიდენციალურ გასაუბრებას მომუშავე პირებთან თარჯიმნების და/ან, საჭიროების შემთხვევაში, კულტურული შუამავლების გამოყენებით. შრომის ინსპექციებმა თავად უნდა ჩაატარონ ამ ტიპის შემოწმებები ან, შესაბამის შემთხვევებში, პოლიციის ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილებებთან და სხვა შესაბამის სტრუქტურებთან ერთად უნდა წარმართონ ეს პროცედურები. შემოწმების პროცედურების ჩატარებისას, დამოუკიდებლად ატარებენ მას თუ სამართალდამცავ უწყებებთან ერთად ან მათ პარალელურად, შრომის ინსპექციებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ საკუთარი მიზნები, უზრუნველყონ თანმიმდევრულობა და მხარი დაუჭირონ თითოეულ ადამიანს სამართლებრივ საშუალებებზე წვდომაში, რათა შეძლონ დანაშაულის მტკიცებულებების უზრუნველყოფა სამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სანქციების მხარდაჭერის მიზნით.

წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთა იდენტიფიკაციას რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებში, როგორებიცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე მყოფი პირები, სეზონური მუშები, დროებითი მომუშავეები, შინამოსამსახურეები, დასაქმების სააგენტოების მეშვეობით დაქირავებული პირები, სხვა ქვეყანაში დროებით მივლენილი მუშაკები, ვითომ თვითდასაქმებული პირები, თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები და დროებითი მიგრანტის ან დამოკიდებული სტატუსის მქონე პირები. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ სპეციალიზებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პროფკავშირებთან და დამსაქმებლებთან ამ მიზნის მისაღწევად.

წევრმა ქვეყნებმა უნდა აღიარონ, რომ ის, რომ პოტენციური მსხვერპლი იშვიათად აკეთებს განაცხადს თავისი მდგომარეობის შესახებ, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ტრეფიკერების დაუსჯელობას. ხელისუფლების, პროფკავშირების, დამსაქმებლების

ან არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი პრობლემის იშვიათად შეტყობინება იმითაა გამოწვეული, რომ მომუშავეები არ თვლიან თავს დანაშაულის მსხვერპლად, რადგან არ იციან თავიანთი უფლებები, ან იმის გამო, რომ ოფიციალური შეტყობინების პოტენციურ სარგებელს ბევრად აღემატება მასთან დაკავშირებული ხარჯები და საფრთხეები. მათ ეშინიათ, მაგალითად, რომ არ გადაუხდიან ხელფასს ან სხვაგვარი საფრთხის წინაშე დადგებიან, როგორიცაა დაკავება ან დეპორტაცია. ექსპლუატაციის ფაქტის შეტყობინების ან დახმარების თხოვნის შემთხვევაში ქვეყნის დატოვების შიში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, რომლის გამოც დანაშაული დაფარული რჩება. შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომლებიც დაეხმარება ტრეფიკინგის მსხვერპლებს, სწორად მოახდინონ საკუთარი თავის, როგორც მსხვერპლის, იდენტიფიცირება; ასევე უნდა შემუშავდეს შეტყობინებისა და საჩივრის წარდგენის უსაფრთხო მექანიზმები და ტრეფიკინგის მსხვერპლის საცხოვრებელი სტატუსის უზრუნველყოფისა და შრომის ბაზარზე წვდომის მიზნობრივი და მორგებული მხარდაჭერის სერვისები. აუცილებელია ასევე ამ ადამიანების ინფორმირება საკუთარი უფლებების შესახებ და მათთვის კომპენსაციის მიღების რეალური შანსის შექმნა.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ როდესაც შრომის ინსპექტორები და სამართალდამცავი ორგანოების ან მიგრაციის სამსახურების ოფიციალური პირები თუ სხვა კომპეტენტური ორგანოები გამოავლენენ საბუთების არმქონე მიგრანტ მუშაკებს, რომლებიც სავარაუდოდ არიან ტრეფიკინგის მსხვერპლები, დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ წვდომა მსხვერპლთა დაცვის ეროვნულ მექანიზმებზე, რათა არ მოხდეს მათი დაკავება ან იმ ქვეყნიდან გაძევება, სადაც ხდება მსხვერპლის იდენტიფიკაცია და სათანადოდ შესრულდეს ამ პროცესთან დაკავშირებული პროცედურები. ყველა პოლიციელი, შრომის ინსპექტორი და სამართალდამცავი ორგანოების სხვა წარმომადგენლები ვალდებულნი უნდა იყვნენ, გადაამისამართონ მსხვერპლი ეროვნული რეფერალური მექანიზმით (NRM) გათვალისწინებულ დამხმარე სამსახურებში და აღრიცხონ შემთხვევები, როდესაც პირები უარს აცხადებენ ამ პროცედურებზე, მაგრამ ითვლებიან მსხვერპლად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არსებობდეს კონკრეტული მექანიზმები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მსხვერპლი ანონიმურად დარჩენას ითხოვს, რათა არ დაკარგოს სამუშაო და არ გახდეს დამატებითი ზიანისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის მსხვერპლი. პრაქტიკულმა თანამშრომლობამ და მონაცემთა დაცვის რეგულაციების შესაბამისად მონაცემთა გაცვლის შეთანხმებებმა შრომის ინსპექციას,

სამართალდამცავ ორგანოებს, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სპეციალიზებულ დანაყოფებს შორის უნდა უზრუნველყოს, რომ მუშაკთა და მსხვერპლთა პირადი ინფორმაცია, შეგროვებული შრომის ინსპექციების, ერთობლივი ინსპექტირების, შეტყობინების ან საჩივრების ფარგლებში, გამოყენებული იყოს დანაშაულების ორგანიზატორების დასასჯელად, ტრეფიკინგის აღსაკვეთად და მსხვერპლი კი არ დასაჯოს და დააზიანოს, არამედ მოემსახუროს მის კეთილდღეობას და აღჭურვოს ის დაცვის საშუალებებით (იხ. პუნქტი 35). დაუშვებელია საიმიგრაციო აღსრულებითი ქმედების განხორციელება სავარაუდო მსხვერპლის წინააღმდეგ, სანამ მიმდინარეობს იდენტიფიკაციის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურები და მსხვერპლი იღებს მხარდაჭერასა და კონსულტაციას, რათა კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს ქვეყანაში თავისი ყოფნა. ყოვლად დაუშვებელია იმიგრაციის აღსრულებითი ზომების განხორციელება დანაშაულის დაუცველ მსხვერპლთა წინააღმდეგ, რადგან ასეთი ქმედების პერსპექტივაც კი საზიანო შეიძლება იყოს მსხვერპლისთვის.

ჯანდაცვის მუშაკებს, რომლებიც წინა ხაზზე მუშაობენ, პირველებს უწევთ უშუალო კონტაქტი ტრეფიკინგის მსხვერპლებთან, ამიტომ აუცილებელია მათი სათანადოდ გადამზადება. ეს ტრენინგები უნდა იყოს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების ნაწილი, რათა პროფესიონალებმა შეძლონ საყურადღებო ნიშნების დროულად ამოცნობა; ისინი უნდა იცნობდნენ სავარაუდო მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომ დახმარების საშუალებებსაც. ანალოგიურად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებში აუცილებელია ადამიანებით ვაჭრობისა და ტრავმის შესახებ ინცორმაციის ინტეგრირება, რათა ამაღლდეს მგრძნობელობა რისკ-ფაქტორების მიმართ.

დახმარება და დაცვა

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მსხვერპლზე ორიენტირებული ისეთი მიდგომები, რომლებშიც დაცული იქნება მსხვერპლთა უფლებები და პრიორიტეტი მიენიჭება მათ ეკონომიკურ, ფინანსურ, კანონის აღსრულებისა და მიგრაციის მიზნებთან შედარებით.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლებს მიეცეს მინიმუმ 30-დღიანი მოსაფიქრებელი პერიოდი იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი,

რომ ადამიანი მსხვერპლია. აუცილებელია, რომ ამ პირებს მიეცეთ გამოჯანმრთელებისა და ტრეფიკერების გავლენისგან თავის დაღწევის საშუალება, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობის შესახებ. ამ პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია ამ პირების ქვეყნიდან გაძევება და აუცილებელია მათი დახმარება და დაცვა მათი საჭიროებების შესაბამისად. წევრი სახელმწიფოების ვალია, გააცნონ მსხვერპლს თავისი უფლებები მისთვის გასაგებ ენაზე. მოსაფიქრებელი პერიოდის მიცემა ზეგავლენას არ ახდენს კომპეტენტური ორგანოების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე შესაბამისი დანაშაულების გამოძიებისა და სამართლებრივი დევნისას.

ვინაიდან ხშირად ადამიანთა მოზრდილი ჯგუფებიც ხდებიან შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლები, შესაძლოა ძნელი იყოს მათი განთავსება არსებულ თავშესაფრებში. ამიტომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ საგანგებო გეგმები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და სოციალურ სამსახურებთან ერთად ტრეფიკინგის მსხვერპლთა დიდი ჯგუფების განსახლების უზრუნველსაყოფად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთ სიტუაციებში თითოეული მსხვერპლისადმი მიდგომა იყოს ინდივიდუალური და მათი საჭიროებების შეფასების შესაბამისი. აუცილებელია საგანგებო დებულებების მიღება ტრავმის ხანგრძლივი შედეგების, მათ შორის პოსტტრავმული სტრესის სინდრომისა (PTSS) და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) და მათთან დაკავშირებული ფსიქო-სოციალური და ჯანდაცვის საჭიროებებზე რეაგირებისთვის.

გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა სხვა რელევანტურ აქტორებთან, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პროფკავშირებთან და დამსაქმებელთა ასოციაციებთან თანამშრომლობით უნდა უზრუნველყონ ტრეფიკინგის მსხვერპლების დახმარება მათი სოციალური ჩართულობისა და რეინტეგრაციის მიზნით. შრომის ბაზრის შეფასებებზე დაყრდნობით დაგეგმილი პროფესიული სწავლება, დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები, დასაქმების მექანიზმების გაცნობა, რაც ემსახურება სხვადასხვა სფეროში უსაფრთხო სამუშაო შესაძლებლობების შექმნას, ეკონომიკური გაძლიერების ის ინსტრუმენტებია, რომელთა გამოყენებაც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასახმარებლად.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ მსხვერპლისა და მოწმეების დაცვის შესაბამისი ზომები სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და მის შემდეგ, რათა თავიდან აიცილონ ტრეფიკერების მხრიდან დაშინება და შურისძიება და მაქსიმალურად შეამცირონ მსხვერპლთა დამატებითი ტრავმირება.

კომპენსაციაზე და სხვა საშუალებებზე წვდომა

ტრეფიკინგის მსხვერპლთა ეფექტური დაცვის საშუალებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების თანახმად, ეფექტური დაცვის უფლება მოიცავს რესტიტუციას, კომპენსაციას, რეაბილიტაციას, დაკმაყოფილებას და გარანტიებს, რომ დანაშაული აღარ განმეორდება.

ეფექტური საშუალებების უზრუნველყოფა მრავალ მიზანს ემსახურება. მაგალითად, მიყენებული დაზიანების, დანაკარგის ან ზიანის გამო კომპენსაცია მხარდაჭერის არსებითი ზომაა მსხვერპლთა გამოჯანმრთელებისა და გაძლიერებისთვის, რომელიც ხელს უწყობს მათ სოციალურ ჩართულობას და ხელს უშლის ხელახალ ვიქტიმიზაციას.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტრეფიკინგის ყველა იდენტიფიცირებული მსხვერპლი სისტემატურად, მისთვის გასაგებ ენაზე, კულტურული ფაქტორების გათვალისწინებითა და ტრავმის მიმართ მგრძნობიარე მიდგომით, ინფორმირებული იყოს ეფექტური საშუალებების მოთხოვნისა და კომპენსაციის უფლების, ასევე გასავლელი პროცედურების შესახებ, მისი საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად.

ვინაიდან სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურები ხშირად ძალიან კომპლექსურია, მნიშვნელოვანია, მსხვერპლს ადრეულ ეტაპზევე მიუწვდებოდეს ხელი იურიდიულ კონსულტაციაზე და უფასო იურიდიულ დახმარებაზე, რათა საშუალება ჰქონდეს, დაიცვას თავისი უფლებები, მათ შორის, მოითხოვოს გადაუხდელი ხელფასი და კომპენსაცია. წევრმა სახელმწიფოებმა იურიდიული დახმარება უნდა გაუწიონ ტრეფიკინგის თითოეულ მსხვერპლს კომპენსაციის მოთხოვნისას.

მსხვერპლთა კომპენსაციის უფლება გულისხმობს მოძალადეების წინააღმდეგ წაყენებულ პრეტენზიას, რადგან პირველ რიგში ტრეფიკერებმა უნდა აუნაზღაურონ მსხვერპლს მიყენებული ზიანი. კომპენსაციის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს მიყენებულ ფინანსურ,

ფიზიკურ და მორალურ ზიანს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლო ზომა, რათა ჩაატარონ ტრეფიკინგის საქმეებთან დაკავშირებული ყველანაირი ფინანსური გამოძიება, გაყინონ დამნაშავეთა ქონება, უზრუნველყონ მათი აქტივების კონფისკაცია და განიხილონ მათი ნაწილის გამოყენება მსხვერპლთა კომპენსაციის პროგრამების დასაფინანსებლად. აუცილებელია, აღმოიფხვრას კომპენსაციის მოთხოვნასა და მიღებას შორის არსებული ბარიერები და გამარტივდეს პროცედურები იმისთვის, რომ დაზარალებულებმა დაუბრკოლებლად მიიღონ ანაზღაურება და კომპენსაცია როგორც ქვეყანაში ყოფნისას, ასევე სხვა ქვეყანაში გადასვლის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ რიგში, დამნაშავეს უნდა დაეკისროს ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურება, პრაქტიკაში იშვიათად ხდება ამ გზით სრული კომპენსაცია, რადგან ხშირად დამნაშავის პოვნა შეუძლებელია, ან ახერხებს მიმალვას ან თავს გაკოტრებულად გამოაცხადებს. როდესაც დამნაშავეს არ შეუძლია ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის კომპენსაციის გადახდა, კომპენსაციის უფლების დასაცავად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები კომპენსაციის სახელმწიფო პროცედურების შემუშავებით. კომპენსაციის სახელმწიფო სქემებმა უნდა უზრუნველყონ სამართლიანი ჩარჩო, რომელიც გამოიყენებს თანმიმდევრულ მეთოდს სახელმწიფო კომპენსაციის სათანადო მოცულობის დასადგენად. ეს სქემა ისე უნდა მუშაობდეს, რომ არ საჭიროებდეს ძვირადღირებულ იურიდიულ მომსახურებას, და თავიდან იყოს აცილებული დამატებითი ხარჯები. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა განიხილონ სახელმწიფოს მიერ მსხვერპლთათვის კომპენსაციის წინასწარი გადახდის სისტემის დანერგვა და დამნაშავისაგან თანხის ამოღება.

გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მკაფიო და ხელმისაწვდომი პროცედურები ბინადრობის ნებართვის მისაღებად, რაც თავისთავად არის ერთ-ერთი გამოსასწორებელი ღონისძიება. როდესაც თავდაპირველად გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული დროებითი ბინადრობის სტატუსი, უნდა არსებობდეს ბინადრობის ნებართვის განახლების შესაძლებლობა კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით, ან, სხვა შემთხვევაში, ის უნდა განისაზღვროს მსხვერპლის პირადი მდგომარეობის ან ჰუმანიტარული საფუძვლების გათვალისწინებით.

წევრმა სახელმწიფოებმა აგრეთვე უნდა წაახალისონ გასაჩივრების მექანიზმის გამოყენება ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე გაეროს

სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით და საჯარო და კერძო პარტნიორობის ფარგლებში, ადამიანის უფლებების დარღვევის იმ შემთხვევებში, რომლებიც ბიზნესს უკავშირდება.

დაუსჯელობის დებულება

> შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლი პირები შეიძლება ზოგჯერ აიძულონ, განახორციელონ ისეთი ქმედებები სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლასთან და დარჩენასთან, ან შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლებიც არღვევს ეროვნულ კანონმდებლობას.

იმისათვის, რომ მსხვერპლები არ დაისაჯონ დამნაშავეთა საქციელის გამო, წევრმა სახელმწიფოებმა, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არ უნდა დააკისრონ სასჯელი მსხვერპლებს უკანონო ქმედებებში მონაწილეობისთვის, ვინაიდან ისინი მოქმედებდნენ არა საკუთარი ნებით, არამედ იძულებით. ამისთვის საჭიროა კონკრეტული საკანონმდებლო დებულების მიღება და/ან საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მითითებების შემუშავება, თუ როგორ, რომელ ეტაპზე და რა ზომით უნდა იქნას გამოყენებული დაუსჯელობის პრინციპი პრაქტიკაში. გარდა მსხვერპლთა უფლებების დაცვისა, დაუსჯელობის დებულება მოუწოდებს მსხვერპლს, შეატყობინოს სათანადო ორგანოებს დანაშაულის შესახებ და მოწმის სახით მონაწილეობა მიიღოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ სასამართლო პროცესებში. დაუსჯელობის დებულება გამოყენებული უნდა იყოს ყველა სახის, მათ შორის ადმინისტრაციული, საიმიგრაციო და სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევაში და უნდა განიხილებოდეს მსხვერპლის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. თუ გამოჩნდება აშკარა მტკიცებულება, რომ პირი მსჯავრდებულია დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილია უშუალოდ ტრეფიკინგის შედეგად, სასჯელი უნდა გადაიხედოს.

წევრმა სახელმწიფოებმა სათანადოდ უნდა დაატრენინგონ პოლიციის ოფიცრები, შრომის ინსპექტორები, პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებების პერსონალი და სხვა შესაბამისი პროფესიონალები დაუსჯელობის დებულების გამოყენების შესახებ. მსხვერპლთა ადრეული იდენტიფიკაციის ტრენინგი აუცილებელია დაუსჯელობის პრინციპის წარმატებით განხორციელებისთვის.

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების დაცვა

წევრი სახელმწიფოები ვალდებულები არიან, გააცნობიერონ, დაიცვან და გააძლიერონ ბავშვთა უფლებები და ეფექტიანად აღასრულონ ბავშვთა შრომის აღკვეთის პრინციპი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალური ასაკის შესახებ კონვენციისა (No. 138) და ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (No. 182) შესაბამისად.

ბავშვები მოწყვლადი ჯგუფებიდან, როგორებიც არიან ქუჩაში მცხოვრები ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების ბავშვები, მზრუნველობას მოკლებული და სპეციალიზებულ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვები, თანმხლები პირების გარეშე მყოფი ან ოჯახს ჩამოშორებული ბავშვები, ტრეფიკინგისა და ბავშვთა შრომის დიდი საფრთხის წინაშე არიან. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააღრმავონ საზოგადოების ინფორმირებულობა ბავშვთა ტრეფიკინგის საფრთხეებისა და მისი სხვადასხვა გამოვლინების (მათ შორის იძულებითი შრომის, მათხოვრობით ექსპლუატაციის ან იძულებითი დანაშაულებრივი ქმედებების) შესახებ და პრიორიტეტულად უნდა აღიარონ შესაბამისი პროფესიონალების (მასწავლებლები, საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი, ბავშვის კეთილდღეობასთან დაკავშირებულ სფეროებში დასაქმებული პირები, სოციალური მუშაკები, მეურვეები) მგრძნობელობის ამაღლება და დატრენინგება. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ბავშვები არ დაისაჯონ ტრეფიკინგის შედეგად ჩადენილი დანაშაულებისთვის და დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართონ ისინი ეროვნული რეფერალური მექანიზმისა და ბავშვთა დაცვის სტრუქტურებთან.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღკვეთონ ბავშვთა ტრეფიკინგი შრომითი ექსპლუატაციის მიზნით, ბავშვთა შრომის აღმოფხვრის პოლიტიკის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებით, შრომის მინიმალური ასაკის ამაღლებით, ბავშვებისთვის მოქნილი ხელშეკრულებების შეზღუდვითა და კვირის დღეებში თუ ღამის საათებში 16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის მუშაობის შეზღუდვის დაწესებით ან აკრძალვით. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიკვლიონ ბავშვების შრომითი ექსპლუატაციის პრაქტიკები და აღკვეთონ ისინი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალური ასაკის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტზე დაყრდნობით.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ რისკების საფუძვლიანი შეფასების მექანიზმები, მათ შორის ბავშვის კეთილდღეობის ასპექტები ოჯახის გაერთიანების შემთხვევაში და განახორციელონ მსხვერპლ ბავშვთა გრძელვადიანი რეინტეგრაციის მონიტორინგი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ მდგრადი და გრძელვადიანი გადაწყვეტილებები თითოეული ბავშვისთვის საუკეთესო ინტერესების ინდივიდუალურად განსაზღვრით და თავად ბავშვის შეხედულებების გათვალისწინებით.

III. სამართლებრივი დევნა

შრომის კანონმდებლობის დარღვევებსა და შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს შორის მიზეზობრივი კავშირის გაცნობიერება

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის შესახებ არასაკმარისი ცოდნისა და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის გამო გაურკვევლობაა შრომითი კანონმდებლობის დარღვევებსა და შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობას შორის.

შედეგად, შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლები ხშირად არ არიან აღიარებული მსხვერპლად, მათ არ ენიჭებათ მსხვერპლის სტატუსი და მათი უფლებები დაუცველია, ხოლო დამნაშავეები არ იდევნებიან და/ან ხდება მათი გამართლება. ექსპლუატაცია ტრეფიკინგის არსებითი ელემენტია. ზოგადად, შრომითი ექსპლუატაცია გაგებულია, როგორც სხვა პირის მოწყვლადი ან შეჭირვებული მდგომარეობით ბოროტად სარგებლობა და იძულება, რომელიც შრომის კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის დარღვევების და/ან სხვა დანაშაულებების კომბინაციაა.

შრომითი ექსპლუატაციის შესაძლო მაგალითები შეიძლება მოიცავდეს გადაჭარბებულ სამუშაო დღეებს ან საათებს; სახიფათო სამუშაოს; დაბალ ხელფასს ან აუნაზღაურებელ შრომას; სოციალური დაცვის ნაკლებობას; ხელფასით მანიპულირებას; სხვა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, მაგალითად, ცუდ საცხოვრებელ პირობებს ან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას; ერთ დამსაქმებელთან მუშაობის ვალდებულებას; დასაქმებულთა მოტყუებას მათი დასაქმების ან საცხოვრებელი სტატუსის შესახებ, რაც შეიძლება გამოვლინდეს შრომის ინსპექტორებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ შრომითი ექსპლუატაციის

კონცეფციის პარამეტრები კანონში ან გზამკვლევებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ინტერპრეტაციის პრობლემები და სამართლებრივი ბუნდოვანება. აუცილებელია ქვეყნის სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება შრომითი ექსპლუატაციის ინტერპრეტაციის შესახებ და მათი გამოყენება ადამიანებით ვაჭრობის კონტექსტში; ეს მითითებები უნდა განმარტავდნენ, თუ როგორ უწყობს ხელს შრომის კანონმდებლობის დარღვევები შრომითი ექსპლუატაციის დანაშაულს და მკაფიოდ განსაზღვროს ყველა ეტაპი ღირსეული სამუშაოდან შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგამდე.

საკანონმდებლო ბაზის გასაძლიერებლად და მასში მკაფიობის შესატანად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტები და ინსტრუმენტები, როგორიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი, იძულებითი შრომის ინდიკატორები. გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან მიღებული გამოცდილება[6]:

- სამუშაოს შესრულებაზე წინასწარი თანხმობა, მაგ. დაქირავების მომენტში, არ წარმოადგენს დაბრკოლებას იძულებითი შრომის კვალიფიკაციისთვის ან შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის კვალიფიცირებისთვის. როდესაც დამსაქმებელი ბოროტად იყენებს თავის ძალაუფლებას ან სარგებლობს მომუშავეთა დაუცველობით მათი ექსპლუატაციის მიზნით, ეს არ ითვლება ნებაყოფლობით შრომად. ანალოგიურად, თუ სამუშაო შეთავაზებისას ადგილი აქვს შეცდომაში შეყვანას ან მოტყუებას, თანამშრომლის მიერ გაცემული თანხმობა არ ითვლება ინფორმირებულ და ნებაყოფლობით თანხმობად;
- ადამიანებით ვაჭრობა და იძულებითი შრომა შეიძლება ხდებოდეს მაშინაც კი, როცა გადაადგილების თავისუფლება შეზღუდული არ არის (გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა არ არის „sine qua non“ პირობა);
- ხელფასის გაუცემლობა იძულებითი სამუშაოს საგულისხმო მაჩვენებელია;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების არქონა მოწყვლადი მდგომარეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია;
- იძულების გამოყენების შემთხვევაში დაზარალებულის თანხმობა სამუშაოს შესრულებაზე არარელევანტური ხდება.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ჩოდრი საბერძნეთის წინააღმდეგ (Chowdury v. Greece), 21884/15, 30 მარტი, 2017.

გამოვლენა, გამოძიება და სამართლებრივი დევნა

სამუშაო ადგილის ეფექტური ინსპექტირების მექანიზმის არარსებობა ხშირად შეუძლებელს ხდის მტკიცებულებების უზრუნველყოფას შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისთვის, დანაშაულის დასამტკიცებლად და დამნაშავეთა წარმატებით დევნისთვის.

ეს შეიძლება გამოწვეული იყოს არასათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით და შრომის ინსპექტორების არასაკმარისი მომზადებით, იმ კერძო საკუთრებაზე წვდომის არქონით, სადაც ხდება დასაქმება და დასაქმებულთა განთავსება, ან დასაქმების არასტანდარტული ფორმებით მომუშავე პირების სამუშაო პირობების შემოწმებისათვის საჭირო მანდატის არარსებობით. ტრეფიკინგის გამოსაძიებლად შრომის ინსპექტორებისთვის სამართლებრივი მანდატის მინიჭება მძლავრი იარაღი აღმოჩნდა ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ის ამოქმედებული იყო სათანადო რესურსებთან ერთად და არ ხორციელდებოდა მხოლოდ შრომის კანონმდებლობის მონიტორინგისა და აღსრულების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ შრომის ინსპექტორების მანდატის გაფართოება ამ მიზნით.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შრომის კანონმდებლობის სტანდარტების ეფექტიანი აღსრულება ეკონომიკის ყველა სფეროში, მათ შორის საბუთების არმქონე პირთა მიმართ. შრომის ინსპექციასა და მიგრაციის კონტროლს შორის განსხვავების გაცნობიერება გადამწყვეტია ექსპლუატაციის საფრთხის ქვეშ მყოფი საბუთების არმქონე მიგრანტების დასაცავად და შრომის სტანდარტების აღსრულების, შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენისა და ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთა იდენტიფიკაციის მიზნით.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის გამოძიების სპეციალური პროცედურის მიღება, სპეციალური საგამოძიებო ტექნიკის გამოყენებით (როგორიცაა ზედამხედველობა, მონაცემებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, სასამართლო ექსპერტიზის კომპიუტერული ანალიზი) და ფინანსური გამოძიების სისტემატურად ჩატარების აუცილებლობა, რათა დაეხმარონ პროკურორებსა და მოსამართლეებს სისხლის სამართლის საქმეებში და შეამცირონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ჩვენებაზე დამოკიდებულება. სპეციალური საგამოძიებო ტექნიკა უნდა იქნას

გამოყენებული ფუნდამენტური პრინციპების, კერძოდ, კანონიერების პრინციპის, ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპის, ამ საშუალებების სარგებლიანობისა და პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, როგორც ეს განმარტებულია მინისტრთა კომიტეტის რამდენიმე რეკომენდაციაში საგანგებო საგამოძიებო მეთოდების შესახებ.[7] მტკიცებულებების შეგროვებამ გაამარტივოს საქმეების კვალიფიცირება ტრეფიკინგის საქმეებად, როდესაც არსებობს ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულის დამახასიათებელი ელემენტები და არ უნდა მოხდეს ამ დანაშაულთა კვალიფიცირება რომელიმე სხვა დანაშაულად, რომელიც უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს, რამაც შეიძლება ტრეფიკინგის მსხვერპლებს შეუზღუდოს დაცვა, კომპენსაციაზე და დახმარების სხვა საშუალებებზე წვდომა.

პოლიციასა და პროკურატურაში სპეციალიზებული დანაყოფების შექმნა, სათანადოდ მომზადებული შრომის ინსპექტორების არსებობა, ასევე მოსამართლეთა და ადვოკატთა სპეციალიზაცია იძლევა გამოცდილებისა და ცოდნის შეძენის საშუალებას და ხელს უწყობს სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის შეფარდების მაღალ დონეს. აქედან გამომდინარე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ პროფესიონალთა სპეციალიზაცია ტრეფიკინგის დანაშაულებებთან დაკავშირებით.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებაზე პასუხისმგებელი ორგანოები უზრუნველყოფილები იქვნენ საჭირო რესურსებით, შესაბამისმა პროფესიონალებმა გაიარონ მომზადება შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის სპეციფიკისა და მისი ფორმების ამოცნობის შესახებ და აღიჭურვონ შესაბამისი ინსტრუმენტებით ამ ფენომენის პრევენციის, იდენტიფიცირებისა და აღკვეთის მიზნით. ტრენინგი უნდა იყოს ინტეგრირებული სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების - შრომის ინსპექტორების, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების, პოლიციის ოფიცრების, პროკურორების, მოსამართლეების, მესაზღვრეების, მიგრაციის მოხელეების, თავშესაფრის თანამშრომლების, თავშესაფრის მაძიებლებთან და ლტოლვილებთან მომუშავე პირების,

7. CM Rec(2005)10, CM/Rec(2017)6. "საგანგებო საგამოძიებო მეთოდები" განიმარტება, როგორც: „ტექნიკა, რომელსაც იყენებენ კომპეტენტური ორგანოები სისხლის სამართლის გამოძიების კონტექსტში სერიოზული დანაშაულების თავიდან აცილების, გამოვლენის, გამოძიების, დევნისა და აღკვეთის, ინფორმაციის შეგროვების მიზნით ისე, რომ არ მოხდეს სამიზნე პირების გაფრთხილება".

საკონსულო პერსონალის, სოციალური მუშაკების, ბავშვთა დაცვის პროფესიონალებისა და სხვათა - რეგულარულ სასწავლო პროგრამებში.

ინტერნეტისა და სოციალური ქსელების საშუალებით დაქირავების შემთხვევების რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, შრომის ინსპექტორატებმა, სამართალდამცავმა უწყებებმა და სხვა შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გაიღრმაონ ციფრული უნარები, უფრო აქტიურად იმუშაონ ინტერნეტ სივრცეში და სისტემატურად ადევნონ თვალი სამუშაო განცხადებების ვებ-გვერდებს. ელექტრონულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული ტრენინგები უნდა გახდეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების სასწავლო კურიკულუმების განუყოფელი ნაწილი. წევრმა სახელმწიფოებმა ინვესტიცია უნდა განახორციელონ სპეციალიზებული ოფიცრების შესაძლებლობების განვითარებაში ინტერნეტის მონიტორინგის, კიბერმონიტორინგის, ფარული ონლაინ გამოძიებების (კიბერინფილტრაცია), ღია კოდის დაზვერვის (OSINT) გამოყენებაში, რათა მათ შეეძლონ ავტომატური ძიების ამ ინსტრუმენტების გამოყენება მტკიცებულებათა გასაანალიზებლად.

IV. პარტნიორობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და წაახალისონ უწყებათაშორისი და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიკაციისა და შემდგომი მონიტორინგის საქმეში.

მრავალდარგობრივი, ინტეგრირებული მიდგომა, რომელშიც ჩართულია ყველა შესაბამისი ორგანიზაცია, იძლევა ინფორმაციისა და დაზვერვის მონაცემების გაზიარების საშუალებას, ასევე იძლევა განსხვავებული როლებისა და მანდატების შეთავსების საშუალებას, მონაცემთა დაცვის სტანდარტებისა და გარანტიების დაცვით. მრავალდარგობრივი თანამშრომლობა უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, შესაბამისი სამინისტროებისა და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამართალდამცავ უწყებებს, შრომის ინსპექტორებს, სასამართლოს, მსხვერპლთა დახმარების სამსახურებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. სხვა შესაბამისი აქტორები არიან მუნიციპალური ორგანოები, მიგრანტთა ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები და ბიზნესები, და პროფკავშირები. როდესაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ტრეფიკინგის

მსხვერპლი და საფრთხის ქვეშ მყოფი პირებიც უნდა წახალისდნენ, რათა შეასრულონ თავიანთი როლი დაცვის ზომების შემუშავებასა და მონიტორინგში.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს, ისევე როგორც ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ეროვნულ სამსახურებს, შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში და მსხვერპლთა უფლებების დასაცავად. წევრმა სახელმწიფოებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან ამ მიზნით.

გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა ორმხრივად უნდა ითანამშრომლონ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში (მაგ., მნიშვნელოვანია წარმოშობის ქვეყნებსა და დანიშნულების ქვეყნებს შორის კავშირების განვითარება ადამიანებით ვაჭრობის საკითხებზე) და მხარი დაუჭირონ თანამშრომლობის მრავალმხრივ ჩარჩოებს, მათ შორის ევროპის საბჭოს კონტექსტში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ტრანსნაციონალური რეფერალური მექანიზმების შემუშავება, როგორც ეფექტური ინსტრუმენტებისა შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის ტრანსნაციონალური შემთხვევების მოსაგვარებლად.

V. ქმედება კორპორატიული პასუხისმგებლობის გასაღრმავებლად და კორპორატიული ვალდებულებების შესასრულებლად

ბიზნესებს აქვთ სამართლებრივი და ეთიკური ვალდებულება, უზრუნველყონ შრომითი უფლებები და პირდაპირი შრომითი ხელშეკრულებით თუ სხვა შეთანხმებებით დაიცვან მათთან მომუშავე პირები ექსპლუატაციისაგან, მათ შორის შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგისაგან.

გარდა ამისა, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ბიზნესებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, იმოქმედონ სათანადო ძალისხმევით და მიიღონ საგანგებო ზომები, რათა მათ საქმიანობაში ან მათი პარტნიორების საქმიანობაში არ მოხდეს ტრეფიკინგი შრომითი ექსპლუატაციის მიზნით. ეს ეხება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ წარმოებულ საქმიანობას, როგორც რეკრუტირების კერძო კომპანიებს, ასევვე დასაქმების სააგენტოებს. ბიზნესებს ასევე

ეკისრებათ პასუხისმგებლობა, პროაქტიურად შეამოწმონ და შეაფასონ დასაქმების პირობები და საქმიანი ურთიერთობების კანონიერება თავიანთ საქმიანობაში და მიწოდების ჯაჭვში. ბიზნესის ვალია, მიიღოს და განახორციელოს ისეთი ზომები, რომლებიც საშუალებას მისცემს დასაქმებულებს, ზიანის შემთხვევაში ხელი მიუწვდებოდეთ მსხვერპლთა დაცვის საშუალებებზე. გარდა ამისა, ბიზნესებს აქვთ პოტენციალი, დაეხმარონ ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებს ეკონომიკური დაომუკიდებლობის აღდგენაში.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბიზნესებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო შეფასება თავიანთი საქმიანობის მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლში და განსაკუთრებული სიფხიზლე გამოიჩინონ ექსპლუატაციის თვალსაზრისით საფრთხის შემცველ სფეროებში. ასეთი სათანადო შეფასება უნდა ხდებოდეს მიწოდების ჯაჭვის არა მხოლოდ იმ რგოლში, რომელიც ხორციელდება იმ იურისდიქციის ეროვნულ საზღვრებში, რომელშიც განთავსებულია ბიზნესი. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ საჭირო ზომები, საკანონმდებლო ნორმების ჩათვლით, რათა მოსთხოვონ მათი იურისდიქციის ფარგლებში განთავსებულ ბიზნესებს, ადამიანის უფლებების დაცვის სათანადო შეფასება განახორციელონ თავიანთი საქმიანობის და მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლში; ამაში შედის ის ვალდებულებაც, რომ მათ საჯარო გახადონ ის ზომები, რომლებიც ტრეფიკინგის რისკების შესამცირებლად მიიღეს. ამაში უნდა შედიოდეს კონტროლის მექანიზმები, როგორიცაა ადრეული გაფრთხილების სისტემა, ზომების ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა და მამხილებელის დაცვის (whistleblower) სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე მამხილებლებს; აგრეთვე დარღვევის შემთხვევებისთვის გათვალისწინებული სანქციები. კანონმდებლობამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ბიზნესებმა და მათმა წარმომადგენლებმა პასუხი აგონ ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისთვის თავიანთი საქმიანობის და მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერ რგოლში. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა გააძლიერონ კორპორატიული პასუხისმგებლობის საკანონმდებლო ჩარჩო, მათ შორის რამდენიმე და ერთობლივი პასუხისმგებლობა მიწოდების ჯაჭვის საქმიანობაში და უზრუნველყონ, რომ ასეთი კანონმდებლობა ეფექტიანად იქნას გამოყენებული შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის შემთხვევებში.

გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კორპორატიული პასუხისმგებლობისა და ბიზნესების სათანადო შეფასების შესახებ კანონმდებლობა ეფექტურად იქნას გამოყენებული

პრაქტიკაში შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის შემთხვევებში. მათ უნდა განახორციელონ კანონმდებლობის ეფექტიანობის პერიოდული შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გააძლიერონ საკანონმდებლო ინსტრუმენტები. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ წაახალისონ ბიზნესები პროფკავშირებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის, მათ შორის იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ მიგრანტებთან ან მიგრანტთა მიერ არიან მართული, რათა ხელი შეუწყონ მომუშავეთა ჩართულობას მათ სამუშაო ადგილზე დამკვიდრებული პრაქტიკის მონიტორინგში და წაახალისონ ბიზნესის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.

წევრმა სახელმწიფოებმა ბიზნესი უნდა უზრუნველყონ სახელმძღვანელო პრინციპებით და ინსტრუმენტებით, განურჩევლად ბიზნესის ზომის, სექტორის, საქმიანობის სფეროს, ოპერაციული კონტექსტისა და მფლობელობისა, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეამცირონ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგში პირდაპირ ან არაპირდაპირი ჩართვის რისკი.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იმუშავონ ფინანსურ ინსტიტუტებთან თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, რათა გააღრმავონ ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ ასეთ ინსტიტუტებს (საბანკო, სადაზღვევო და სასესხო ინვესტიციების მართვისა და თანამშრომელთა საპენსიო სქემებში ინვესტირების), განავითარონ და გამოიყენონ ბიზნეს კლიენტებზე და მომწოდებლებზე გავლენის მოხდენის ბერკეტები, ვალდებულების შესასრულებლად იქ, სადაც არსებობს იძულებითი შრომისა და ტრეფიკინგის საფრთხე. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წარმოადგინონ სახელმძღვანელო მითითებები ფინანსური დახმარებისა და სარგებლის მოხსნის პოტენციური გავლენის შესახებ; მაგალითად, ისე დაარეგულირონ კანონით სავალდებულო დაზღვევა, რომ მზღვეველებს საშუალება ჰქონდეთ, გაზარდონ პრემიები ან გამოქვითვები, შეამცირონ პოლისის ლიმიტი, ან განიხილონ მისი გაუქმება იძულებით შრომასთან და ტრეფიკინგთან პირდაპირ დაკავშირებული საფრთხეების გამო.

ასეთი რისკები შეიძლება წარმოიშვას თავად ბიზნესში მოკვლევის ან მისი საქმიანობის რგოლებში ჩართული კლიენტებისა და მომწოდებლების მოკვლევის შედეგად ან სხვა მარეგულირებელი ზედამხედველობის ან საჩივრის მეშვეობით. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა წაახალისონ ფინანსური ინსტიტუტები, განუმარტონ ბიზნესებს პასუხისმგებლობით გამსჭვალული ბიზნეს-ქცევის

უპირატესობები, მაგალითად ისეთის, როგორიცაა სადაზღვევო პრემიების შემცირება და ინვესტიციების მოზიდვა, რათა სამომავლოდ ამან ზეგავლენა მოახდინოს ბიზნესზე და უბიძგოს მას, უფრო მეტად განახორციელოს სათანადო შეფასება და მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს ექსპლუატაციისგან მშრომელთა დასაცავად.

გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოები თავად უნდა იყვნენ გამჭვირვალე საკუთარი შესყიდვების პოლიტიკასა და პროცედურებში და უზრუნველყონ, რომ თავადვე არ შეუწყონ ხელი ექსპლუატაციურ პრაქტიკას. წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, რომ საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას არ გამოიყენონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიერ წარმოებული ან მოწოდებული საქონელი თუ მომსახურება. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ექსპლუატაციურ პრაქტიკაში მხილებულ საწარმოებთან არ ითანამშრომლონ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში. უფრო მეტიც, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა თავიდან აიცილონ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგი საჯარო კონტრაქტების საფუძველზე დაფინანსებულ ან სუბსიდირებულ პროექტებში და საჯარო საწარმოებში, რისთვისაც უნდა გამოიყენონ მსგავსი მოთხოვნები, რომლებსაც კერძო საწარმოების მიმართ იყენებენ.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპანიების მიერ გამოყენებული ეტიკეტები და სერთიფიკატები, რომლებითაც ისინი ადასტურებენ, რომ საქონელს ეთიკური ან მდგრადი მიდგომებით აწარმოებენ, ეყრდნობოდეს მყარ მტკიცებულებებს და ქმედითად აკონტროლონ ასეთი სერთიფიკატების გაცემა. ეტიკეტებისა და სერთიფიკატების გაცემის კრიტერიუმები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და მომხმარებლებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი, ხოლო ბიზნესის შესაბამისობის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ეტიკეტებისა და სერთიფიკატების გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების აკრედიტაცია, რათა უზრუნველყონ, რომ ეს ორგანიზაციები საფუძვლიანად იცნობენ შრომითი ექსპლუატაციის რისკებს და იციან, როგორ განახორციელონ საჭირო მონიტორინგი. ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ წევრ სახელმწიფოებთან აკრედიტაციის სქემების დაზუსტებაზე და მათი განხორციელების ეფექტიანობაზე. თვითრეგულირების შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს მონიტორინგის როლი და ჩადოს ინვესტიცია სარწმუნო კვლევებში, რათა გააანალიზოს ეტიკეტებისა და სერთიფიცირების სქემების მიმართ არსებული პრეტენზიები.

შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის მასშტაბი ევროპაში იზრდება და ის ეხება ქალების, მამაკაცებისა და ბავშვების სულ უფრო დიდ რაოდენობას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2022 წლის 27 სექტემბერს მიიღო **რეკომენდაცია შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციისა და აღკვეთის შესახებ. რეკომენდაცია მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს, მიიღონ ეროვნული კანონები, შეიმუშაონ პოლიტიკა და სტრატეგიები** ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის თანახმად და გაამკაცრონ შრომის ბაზრის რეგულაციები. რეკომენდაცია ავსებს არსებულ იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტებს, კერძოდ, ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ეყრდნობა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მონიტორინგის შედეგებსა და მითითებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს.

რეკომენდაციის განმარტებითი მემორანდუმი შეიცავს ყოვლისმომცველ ღონისძიებებს პრევენციის, დაცვის, სისხლის სამართლებრივი დევნისა და პარტნიორობის სფეროებში. მასში აგრეთვე მოცემულია ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბიზნესებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ სათანადო ძალისხმევა, რათა გამოავლინონ ტრეფიკინგის საფრთხეები და გაუმკლავდნენ მათ.

trafficking@coe.int
www.coe.int/trafficking

PREMS 048723

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE